18/08/2025

MES 0 25 0000992017

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 11 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა

Time: August 11, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/83135641056?pwd=dX6Zc6qLxUVPBaUKWyzIk9Owkbb2es.1
Meeting ID: 831 3564 1056
Passcode: 537894

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
კახაბერ ერაძე - რექტორი
ნათია ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი
ამირან ერაძე - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი
მაია მიჩილაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

შპს ჯეი ეფ აკადემია
შოთა ნოზაძე - დირექტორი
ხათუნა ბერიძე -ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
მაია ჩუბინიძე - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირი
ლევან მამულაშვილი - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირი
ლელა ჯაველიძე - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირი

შპს კიბერ უსაფრთხოება
დემიდ ფასიეშვილი - დირექტორი
ზურაბ მესხიძე - თანადამფუძნებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ქეთევან ღვანიძე

ნინო ბოკუჩავა
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:07 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)“ /02349/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის სტილისტი“ /02323/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის ღებვის სპეციალისტი“ /02324/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)“ /02349/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 4 ივლისის №817142 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ შეისწავლეს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიული მომზადების პროგრამის „ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)“ (ID 02349) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 23 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში, მისამართზე - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ აკადემიამ მიმდინარე წელს პრიორიტეტად მიიჩნია ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემაში მიმდინარე ძირეული ცვლილებების კვალდაკვალ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაზარდოს მიწოდებული სერვისების სპექტრი. ამ ეტაპზე საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს კვალიფიციური ტრენინგები ძიძებისათვის (ბავშვის მომვლელი), რომლის მნიშვნელობა ხაზგასმულია საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამის მუხლებში და განიხილება, როგორც სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სერვისების მიწოდების მთავარი შესაძლებლობა. საქართველოს კანონმდებლობა 2019 წლიდან ითვალისწინებს ძიძების ნებაყოფლობით სერტიფიცირებას, თუმცა ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა და არც კვალიფიციური ტრენინგებია ხელმისაწვდომი საქართველოში. ამ ტრენინგების შეთავაზება არ ეწინააღმდეგება კანომდებლობას და მეტიც, ერთგვარად წინგადადგმული ნაბიჯია ბავშვის მოვლის ალტერნატიული სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით.
აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დაწყებამდე დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა სპეციალურად ამ პროგრამისთვის მომზადებული პრეზენტაცია, რათა კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოდ დაენახებინა აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა ექსპერტებისთვის. პრეზენტაცია მოიცავდა მოკლე ინფორმაციას აკადემიის შესახებ, მის მისიას, მოქმედ სწავლების სფეროებს, აღნიშნულ სფეროში გამოწვევებსა და აკადემიის ინიციატივებს. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იქნა ასევე აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული დაწესებულების მიზანი და სამომავლო ნაბიჯები, დაწესებულება გეგმავს: ხარისხზე ორიენტირებული, მომზადების პროგრამის დანერგვას ძიძებისთვის, მსმენელების

არამხოლოდ ბავშვის მოვლის, არამედ ასაკის შესაბამისად განვითარებაზე ზრუნვის უნარებით აღჭურვას, საზოგადოების ნდობის გაზრდას ამ პროფესიის მიმართ, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას, ძიძების მიმართულებით დარგობრივი გაერთიანების შექმნას (ეს ასოციაცია იქნება უნიკალური პლატფორმა, რომელიც გააერთიანებს მხოლოდ სერტიფიცირებულ ძიძებს), სერტიფიცირებულ ძიძების რეესტრის წარმოებას, კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სერვისების შეთავაზებას და ძიძების გზამკვლევის შემუშავებას.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 6 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 14 საათი. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. პროფესიული მომზადების პროგრამის „ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)“ განხორციელებისათვის შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს“ საკუთარ ბაზაზე სრულად აღჭურვილი აქვს ორი A და ერთი C სასწავლო გარემო (ჯანდაცვის უნარების ლაბორატორია).
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამაში ჩართული იქნება 5 განმახორციებელი პირი. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. დაწესებულება არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, საქართველოს ბიზნესის კადემია - SBA პირველი კერძო კოლეჯია, რომელმაც საკუთარ ბაზაზე დააფუძნა „CISCO ACADEMY“ და დაინტერესებულ პირებს IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობას აძლევს. დაწესებულების მისიაა იყოს

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის. საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA ორგზის ბრენდირების 5–დან 5 ვარსკვლავის მფლობელია. საქართველოს ბიზნესის აკადემია, ევროპის ხარისხის ფონდის მიერ აღიარებული სასწავლებელია საქართველოში - ევროპული ნიშნის სერტიფიკატი (EFQM). EFQM – ხარისხის ნიშანის მოპოვება, ნიშნავს კომპანიის ავტორიტეტულ აღიარებას ევროპული სტანდარტების დონეზე, მისი მენეჯმენტისა და საქმიანობის ხარისხის ორიენტირებულობას მუდმივ განვითარებასა და სრულყოფაზე.
აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. პორტალი. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ელ. სისტემის დათვალიერებით დადგინდა, რომ სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს საინტერესო პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ძალიან ინსტიტუციურიზებულია ადრეული ბავშვის განვითარების ბიზნესი, ძალიან კარგი იქნება თუ იქნებიან პროფესიონალი სპეციალისტები ამ მიმართულებით, მაგრამ როდესაც უშუალოდ ბავშვის აღზრდაზეა საუბარი, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვი ატარონ ბაღში, შესაბამისად ის რაც დღევანდელ დღეს არის განვითარებული და მოთხოვნადი, ეს არის ძიძა, სახლში ყავთ ძიძა ან კიდევ ეძებენ კვალიფიციურ კადრებს, რაც ძალიან ძნელია, ჯერ მარტო იმაზე არ არის დამოკიდებული, რომ ადამიანს უნდა ენდო, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი, თუმცა როდესაც ბავშვი თავის შეგნებულ დროს ატარებს ადამიანთან, აუცილებელია ბავშვმა მოახდინოს თავისი შემოქმედებითი განვითარება, ძალიან ბევრი ადამიანია რომელიც მოითხოვს, გარდა იმისა, რომ მხოლოდ მეთვალყურეობა გაუწიოს ძიძამ ბავშვს, აუცილებელია შესაბამისი განათლება მისცეს დასძინა, რომ მიესალმება აღნიშნულ საკითხს. აუცილებელია ძიძა იყოს პროფესიონალი, კვალიფიციური და შესაბამისად უკვე სერტიფიცირებული ძიძები, რომლებსაც უკვე შეეძლებათ თავიანთი თავის უფრო კარგი რეალიზაცია მოახდინონ, შესაბამისად სისტემაში შემოვა არა მარტო, ვთქვათ ის ადამიანები, ვინც უკვე დღეს თავის საქმეს აკეთებენ და არიან პრაქტიკოსები, არამედ ახალი კადრები, რომლებსაც პირველი ნაბიჯების გადადგმა სურთ, შესაბამისად ძალიან საინტერესო წამოწყებაა, პროგრამაც ძალიან გამართულია და შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც დღევანდელ ბაზარზე არსებობს და ძალიან ხშირად გსმენია ხოლმე სხვადასხვა ადამიანების, უბრალოდ ნაცნობებისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, დაეფიქსირებინა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კახაბერ ერაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს, მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს მაღალკვალიფიციური ვიზიტისთვის, რომელიც იყო არა მხოლოდ შეფასებითი, არამედ შემეცნებითი თანამშრომლებისთვის და დასძინა, რომ სწორედაც ეს ვიზიტი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროგრამას, ის დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს შეფასებებში და განაცხადა, რომ დაწესებულებამ როცა ამ პრობლემაზე დაიწყო მუშაობა, ბევრი რამე ისწავლა, ეს პროგრამა არ არის საკვალიფიკაციო პროგრამიდან ამოკრეფილი, ასე ვთქვათ კომპილაცია სწავლის შედეგებისა, არამედ ეს არის სრულად ორიგინალური და ახალი პროგრამა, ამიტომაც გადაწყვიტა დაწესებულებამ უფლების მოპოვების გზით ცენტრში წარმოდგენა, პროგრამა ეფუძნება შვედეთის პრაქტიკას, იმიტომ რომ შვედეთში არის ასეთი უწყება, რომელიც სტანდარტებს განსაზღვრავს სხვადასხვა პროფესიისთვის. გამოირჩევა სწორედ ამ მიმართულებით თავისი მაღალი ხარისხით, რაზეც ისაუბრა უკვე ექსპერტმა და დასაბუთებაშიც არის აღნიშნული. მან დასძინა, რომ ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, თუ ვისთან ატარებს ბავშვი დროს, სტანდარტი მოიცავს როგორც კვების, მოვლის, მათ შორის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს, ასევე მოიცავს მისი განათლების რა ეტაპზე რა ტიპის ინფორმაცია მიაწოდოს, როგორ მიაწოდოს, მოიცავს ფსიქო ემოციურ დამოკიდებულების საკითხებს, მათ შორის მშობლებთან დაკავშირებით. ხშირად ძალიან დიდი სტრესია ბავშვისთვის. სამიზნე ჯგუფი დიდია, შესაბამისად დაწესებულებას სურს, მოხდეს არამარტო კვალიფიციური ძიძების შემოსვლა პროფესიაში, არამედ მნიშვნელოვანია იმათთვის, ვისაც საზღვარგარეთ უნდა წასვლა და მუშაობა. შესაბამისად, ოფიციალური სერტიფიკატით მიდის და მისი გაყიდვადობა იზრდება უცხოეთში. მან დასძინა, რომ გამოაცხადონ შეთავაზება ახალგაზრდა ოჯახებისთვის, ახალ დაქორწინებული წყვილებისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც პირველ შვილს ელოდება, იმიტომ რომ მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.
მან განაცხადა, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი იქნება დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობს სწორედ მსგავსი პროფესიონალების შემოყვანას სივრცეში. წელს დაწესებულებამ განსაზღვრა პრიორიტეტები, ორ დიდ მიმართულებაში, ესაა ლოგისტიკა და ტრანსპორტი და სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)“ /02349/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს

პროფესიული მომზადების პროგრამა - ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა) /02349/ **(დანართი 1).**

2. შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის სტილისტი“ /02323/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის ღებვის სპეციალისტი“ /02324/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები გაერთიანებული პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, 2025 წლის 11 ივნისის №651572 და №651584 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ შეისწავლეს შპს ჯეი ეფ აკადემიის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების "თმის სტილისტი“ და „თმის ღებვის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 7 ივლისს განახორციელეს ვიზიტი დაწესებულებაში, მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, №14ბ.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია ორივე პროგრამასთან მიმართებაში 1.6 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია პროფესიული მომზადების პროგრამაში თემატიკას დაემატოს პირადი ინფორმაციის დაცვის მიმართულებით საკითხები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „თმის სტილისტის“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, №14ბ.
ხოლო „თმის ღებვის სპეციალისტი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, №14ბ.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამაზე საბაზო განათლება, სილამაზის სალონში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ინტერვიუირებისას დადგინდა მათი მზაობა განვითარებისკენ. ისინი ორიენტირებულნი არიან ხარისხზე და ზუსტად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული აქვთ პროგრამები. აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

შპს ჯეი ეფ აკადემიის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, მან დასძინა, რომ დიდი ხანია ამ სფეროში არაფორმალურად მოღვაწეობს და აქვს გამოცდილება, სისტემატიურად ცდილობს, რომ სხვადასხვა მიმართულებით ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ ქართველ სტილისტებს. ყოველთვის დიდია სემინარებზე და ტრენინგზე აქტიურობა. სემინარებს აწყობენ არა მხოლოდ ქართველი ტრენერების მონაწილეობით, ძალიან ხშირად ჩამოყავთ უცხოელი ტრენერები და ამ მიმართულებით ყოველთვის სიახლეებია. მან დარგის ექსპერტს გადაუხადა მადლობა, გადამზადების პროგრამაზე ყურადღების გამახვილებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა ამ მიმართულებით ქართულ ბაზარზე, ნამდვილად ძალიან ბევრი კოლეჯია, რომელიც კარგ ცოდნას აძლევს, თუმცა მოთხოვნა გაცილებით დიდია და ამ მიმართულებით უნდა კომპანიას თავისი წვლილის შეტანა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის სტილისტი“ /02323/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებსაკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯეი ეფ აკადემიას (ს/კ: 405731506) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თმის სტილისტი /02323/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯეი ეფ აკადემიის „თმის ღებვის სპეციალისტი“ /02324/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯეი ეფ აკადემიას (ს/კ: 405731506) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თმის ღებვის სპეციალისტი /02324/ **(დანართი 3).**

4. შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 28 მაისის №589072 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ შეისწავლეს შპს კიბერ აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ (ID 02311) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 24 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს კიბერ აკადემიაში მისამართზე ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №13ბ.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, კერძოდ,

გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

მიზანი მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული და არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში მიზნის და პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამის ველებში აღწერა და ასევე, უზრუნველყოს მიზნის მკაფიოდ, მეტად კონკრეტულად ჩამოყალიბება, რომელიც თანხვედრაში იქნება სწავლის შედეგებთან.

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის იქედან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგები "ბიბლიოთეკის კოდის სტრუქტურის გაცნობა", „მოძიებული ბიბლიოთეკის ინტეგრაცია ვებგვერდთან" საჭიროებს მეტ კონკრეტიკას, ვინაიდან აღნიშნულ სწავლის
შედეგებში ბევრი რამ შეიძლება იყოს მოსაზრებული და დამწყებთათვის საკმაო სირთულეს წარმოადგენდეს, რაც საბაზო განათლების მსმენელმა შესაძლოა ვერ დაძლიოს.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აუცილებელია დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგები, ვინაიდან არ ჩანს კონკრეტულად რა ტექნოლოგიას გულისხმობს შემდეგი სწავლის შედეგები: "ბიბლიოთეკის კოდის სტრუქტურის გაცნობა", „მოძიებული ბიბლიოთეკის ინტეგრაცია ვებგვერდთან", ასევე პირველი და მერვე სწავლის შედეგი უნდა გაერთიანდეს და ისწავლებოდეს HTML -ის ბოლო ვერსია.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

ვერ ხერხდება პროგრამის ხანგრძლივობის/მოცულობის/მსმენელის სასწავლო დატვირთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურობის შეფასება, რადგან უნდა დაკონკრეტდეს სწავლის შედეგებში "ბიბლიოთეკის კოდის სტრუქტურის გაცნობა", „მოძიებული ბიბლიოთეკის ინტეგრაცია ვებგვერდთან" გამოყენებული ტექნოლოგია.

ასევე გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს

რეკომენდებულია, პროფესიული მომზადების პროგრამაში, პროგრამის მიზნის და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, დაზუსტდეს კვალიფიკაციის დონე.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. № 13ბ.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, პროფესიული მომზადების პრაგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი ჩატარდება შპს კიბერ აკადემიის სასწავლო გარემოში, რომლისთვისაც გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი 2 B გარემო (კომპიუტერული აუდიტორია). აღნიშნული აუდიტორიები გათვლილია 30 მსმენელზე. პირველი სასწავლო მიღება - 30 მსმენელი (ორი ჯგუფი, თითო ჯგუფში 15 მსმენელი);

სასწავლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ინტერვიუირებისას დადგინდა მათი მზაობა განვითარებისკენ. ისინი ორიენტირებულნი არიან ხარისხზე და ზუსტად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული აქვთ პროგრამა. აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოციდლების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და დასძინა, რომ ვინაიდან ხარვეზები დაფიქსირდა პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინა საბჭოს ერთთვიანი ვადის განსაზღვრის შესახებ. მან დასძინა, რომ ერთთვიანი ვადა საკმარისი იქნებოდა ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კიბერ აკადემიისთვის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კიბერ აკადემიას (ს/კ: 445569420) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი /02311/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 12:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02349	ადრეული ბავშვობის განვითარებისა და აღზრდა-განათლების სპეციალისტი (ძიძა)	პროფესიული მომზადება	მეხუთე	6	ქართული	50	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №12-18

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02323	თმის სტილისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	10	ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის 14ბ

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02324	თმის ღებვის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მესამე	5	ქართული	10	ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის 14ბ